ემც-ის საქმიანობის მიმოხილვა

2017 წელი

იანვარი

თებერვალი

მარტი

აპრილი

მაისი

ივნისი

რედაქტორის სვეტი

საქართველოს დემოკრატიის ტესტი

სოციალური უფლებების პროგრამა..... 1

მუშათა პროტესტი რუსთავის აზოტში და სერვისის სფეროში წარმოშობილი წინააღმდეგობები..... 1

შრომის უსაფრთხოება და მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმა..... 2

სოციალური უფლებები და კონსტიტუციური რეფორმა..... 3

უსახლკარობის პრობლემა თბილისში..... 4

მრავალპროფილური ფსიქიატრიული განყოფილებების დახურვა და მისი შედეგები..... 4

სტრატეგიული სამართალწარმოება..... 5

მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა..... 6

კონსტიტუციური რეფორმა..... 6

ცვლილებები მოსმენების მარეგულირებელ კანონში..... 6

ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის..... 7

კვლევა ნარკოტიკული დანაშაულების გამოძიების ტენდენციებზე..... 9

პოლიციის გამჭვირვალობის ხარისხი..... 10

სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები..... 10

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხარვეზიანი საქმიანობა..... 11

ძალადობის ფაქტები და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საჭიროება..... 12

სტრატეგიული სამართალწარმოება..... 12

თანასწორობის პროგრამა..... 13

რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა..... 13

მოხის სკოლაში მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები..... 14

რელიგიის თავისუფლების საკითხებზე კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებები..... 15

მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკა..... 15

მუსლიმი თემის პოლიტიკური და სოციალური ექსკლუზიის კვლევები..... 16

საინფორმაციო შეხვედრები მუსლიმი ქალებისთვის - ემანსიპაციის ძიებაში..... 17

საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები..... 17

აზერბაიჯანიდან დევნილი ჟურნალისტებისა და აქტივისტების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში..... 18

ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ..... 19

დეკლარაცია ლგბტი პირთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევის შესახებ..... 20

საკონსტიტუციო ცვლილებები ქორწინებასთან დაკავშირებით..... 20

2017 წლის 17 მაისი..... 21

სტრატეგიული სამართალწარმოება..... 21

კრიტიკული პოლიტიკის და სოლიდარობის პლატფორმა..... 22

სოციალური სამართლიანობა..... 22

დეკოლონიური პერსპექტივები..... 23

კინოფესტივალი: დააფასე ადამიანის შრომა!..... 23

დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები 24

საქართველოს დემოკრატიის ტესტი

აფგან მუხთარლის საქმემ თვალსაჩინო გახადა საქართველოს მთავრობის თვითნებური და დისკრიმინაციული პოლიტიკა აზერბაიჯანიდან დევნილი, საქართველოში მცხოვრები ჟურნალისტებისა და პოლიტიკური აქტივისტების მიმართ.

2016 წლის ბოლოდან ჩანს ტენდენცია, რომ საქართველო ალიევის ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილ აქტიურ ჟურნალისტებს/პოლიტიკურ აქტივისტებს უარს უცხადებს ბინადრობის მოწმობის გაგრძელებაზე და ასევე ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე. უარის მიზეზად კი ეროვნული უშიშროების დაცვის ინტერესი სახელდება.

EMC-ის მიერ ამ ჯგუფში ჩატარებული პირველადი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ აქტივისტების ნაწილის მიმართ ფიქსირდება საქართველოს ტერიტორიაზე არაიდენტიფიცირებადი კერძო პირების მხრიდან დევნის, მუქარისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტები, რაზეც პოლიცია ეფექტიანად არ რეაგირებს. აფგან მუხთარლის იძულებითი გაუჩინარებისა და ჯამალ ალისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დაუსაბუთებელი და თვითნებური აკრძალვის შემდეგ კი აღნიშნულმა პროცესმა მეტწილად ინსტიტუციური ფორმა შეიძინა და ორი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებს შორის უკანონო და არაფორმალური თანამშრომლობის თაობაზე ეჭვები გააძლიერა.

აზერბაიჯანის არადემოკრატიული ხელისუფლების მიმართ საქართველოს მთავრობის ღია ლოიალობა კიდევ უფრო აშკარა გახადა აფგან მუხთარლის საქმეზე შს მინისტრის ოფიციალურმა საჯარო განცხადებამ, რომელიც იზიარებდა აზერბაიჯანის ხელისუფლების ოფიციალურ საგამოძიებო ვერსიას და სრულად უგულებელყოფდა საქმის პოლიტიკურ კონტექსტს და აზერბაიჯანში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას. აფგან მუხთარლის საქმეზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაკეთებული კრიტიკული შეფასებების მიუხედავად, ხელისუფლებას საქმეზე ადეკვატური პოლიტიკური რეფლექსია არ მოუხდენია. აღნიშნული პოლიტიკა ხელისუფლების მიერ სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული მძიმე პოლიტიკური კონტექსტითა და მეზობელ ქვეყნებთან სტრატეგიული თანამშრომლობის შენარჩუნების ინტერესით მართლდება. მათ შორის ცხადად იკვეთება აზერბაიჯანის მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ მხარდაჭერილი გაზის ბიზნესის გავლენები.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებების დაცვის საკითხების უსაფრთხოების პარადიგმით გადაფარვა თანასწორობის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების ზოგადი პოლიტიკის მახასიათებელია და ის აზერბაიჯანულ საქმეებში ნათლად გამოჩნდა.

ჩნდება აზრი, რომ თუ მანამდე ვიზა ლიბერალიზაციის პროცესისთვის პოლიტიკური ხელისუფლება ცდილობდა კრიზისებისა და არადემოკრატიული გადაწყვეტილებების შეკავებას, აღნიშნული ეტაპის დასრულების შემდეგ, მათი შეკავების ინტერესი შედარებით შესუსტდა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებს, რომელიც პოლიტიკურ ხელისუფლებაზე ძლიერი, დემოკრატიულ კონტროლს მოკლებული ძალაუფლების სისტემაა, საკუთარი დღის წესრიგის პირდაპირი გატარების შესაძლებლობა მიეცა.

ამ მოცემულობაში, იმის ნაცვლად, რომ საქართველო უსაფრთხო პოლიტიკური სივრცე გამხდარიყო აზერბაიჯანელი დისიდენტებისთვის და მათ საკუთარ ქვეყანასთან მჭიდრო კომუნიკაციის შენარჩუნებით, კრიტიკული და ალტერნატიული პოლიტიკური აზრის მხარდაჭერისთვის შეეწყოთ ხელი, ჟურნალისტებისა და აქტივისტების დიდმა ნაწილმა საქართველოს ტერიტორია დატოვა. აღნიშნული საქმეები საქართველოში დემოკრატიის ტესტი გახდა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გაიარა და ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე რადიკალური კრიტიკის საგანი გახდა.

თამთა მიქელაძე
თანასწორობის პროგრამის დირექტორი

მუშათა პროტესტი რუსთავის აზოტში და სერვისის სფეროში წარმოშობილი წინააღმდეგობები

მიმდინარე წლის იანვარი და თებერვალი დასაქმებულთა სამი მნიშვნელოვანი პროტესტით გამოირჩეოდა.



„რუსთავის აზოტის“ მუშების მხარდასაჭერი აქცია

“რუსთავის აზოტის” ქარხნის ახალი მფლობელის ხელში გადასვლის შემდეგ, საწარმოს 350 თანამშრომელი ზეპირი განცხადების საფუძველზე გაუფრთხილებელად გაათავისუფლეს, რასაც მუშების აქციები მოჰყვა. საპროტესტო გამოსვლებს აზოტის მუშებთან ერთად პროფკავშირები ხელმძღვანელობდა, ხოლო სოლიდარობის გამოხატვის მიზნით აქციებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა საწარმოში დასაქმებული მუშები, აქტივისტური ჯგუფები და არასამთავრობო ორგანიზაციები. აქციების შედეგად საწარმოს ხელმძღვანელობა მუშებს 3 თვის განმავლობაში 500 ლარის ანაზღაურებას შეჰპირდა. მშრომელთა ნაწილი ამ პირობას არ დათანხმდა და სასამართლოს განაცდური დღეების ანაზღაურების და სამსახურში აღდგენის მოთხოვნით მიმართა.

„ბიბლუსი გალერი“ და „ფრესკო“

თებერვლის თვეში, წიგნის მაღაზია „ბიბლუსი გალერიში“ დასაქმებული თანამშრომლების ნაწილმა გაავრცელა აუდიო და წერილობითი განცხადება, სადაც ისინი მძიმე და არანორმირებულ სამუშაო გრაფიკზე, დაბალ ანაზღაურებაზე, შრომით ექსპლუატაციასა და დაჯარიმების უსამართლო პრაქტიკაზე საუბრობდნენ. აღნიშნულ განცხადებას წინ უძღოდა ორი თანამშრომლის გათავისუფლება. შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ასევე ორი თანამშრომლის გათავისუფლებით დასრულდა.

„ბიბლუსი გალერის” კონსულტანტების ვიდეო-მიმართვა

დასაქმებულთა მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოების და აქტივისტური ჯგუფების მხრიდან. „ბიბლუსი გალერის“ შემთხვევასთან დაკავშირებით სასამართლოში რამდენიმე დავა მიმდინარეობს.

ამავე პერიოდში, სუპერმარკეტ „ფრესკოს“ თანამშრომლების ნაწილმა გაავრცელა განცხადება, სადაც მათ „ფრესკოში“ არსებულ შრომის პირობებს “თანამედროვე მონობა” უწოდეს. განცხადებაში საუბარი იყო კვირაში 60 საათიან სამუშაო გრაფიკზე, ხელფასების დაქვითვის უკანონო პრაქტიკაზე და თანამშრომლებზე ზეწოლის ფაქტებზე. აღნიშნულ ფაქტს გამოეხმაურნენ როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აქტივისტურმა ჯგუფებმა სოლიდარობის აქციები გამართეს და გავრცელებულ ინფორმაციაზე სახელმწიფოსგან სწრაფი რეაგირება მოითხოვეს. “ფრესკოს“ ყოფილ თანამშრომელთა ნაწილი დარღვეული უფლებების აღდგენის მოთხოვნით კომპანიის წინააღმდეგ სასამართლო დავას აწარმოებს. EMC სოლიდარობას უცხადებდა პროტესტებში მონაწილე დასაქმებულებს და სამართლებრივ კონსულტაციებს უწევდა „ბიბლუსი გალერისა“ და „ფრესკოს“ თანამშრომლებს.



EMC-ის მიერ მომზადებული საინფორმაციო ბროშურის - „რა უნდა ვიცოდეთ შრომითი უფლებების შესახებ“ მიზანია ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულებს საკუთარი შრომითი უფლებების კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური სტანდარტების შესახებ.

EMC-ის შეფასება მომსახურების სფეროში დასაქმებულთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით

სამკერვალო ფაბრიკებში დასაქმებულთა შრომითი უფლებების მდგომარეობა

სარკინიგზო სატრანსპორტო სფეროში დასაქმებულ პირთა შრომის პირობები

მაღაროებსა და შახტებში დასაქმებულთა შრომის პირობები

საჯარო სამსახურში რეორგანიზაციის შედეგები

EMC „ბიბლუსი გალერის“ 3 გათავისუფლებული თანამშრომლის სახელით დავობს სასამართლოში, გათავისუფლების უკანონოდ ცნობის, განაცდურის, ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებისა და უკანონოდ დაკისრებული დანაკლისების დაბრუნების მოთხოვნით. ასევე სასამართლოში იცავს გავრცელებულ ვიდეო მიმართვაში მონაწილე „ბიბლუსი გალერის“ თანამშრომლების ინტერესებს, რომელთა წინააღმდეგაც კომპანია „ბიბლუსი“ ცილისწამებით საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის დავობს და გავრცელებული ცნობების უარყოფას მოითხოვს.

შრომის უსაფრთხოება და მიმდინარე საკანონმდებლო რეფორმა

წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი სათანადოდ ვერ პასუხობს ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ზედამხედველობის საჭიროებებს, რამდენადაც კანონპროექტის ხარვეზები მნიშვნელოვნად ასუსტებს მის ეფექტიანობას და არ ქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რეალური და სათანადო დაცვის შესაძლებლობას.

კონფერენცია - „შრომის ინსპექციის მომავალი საქართველოში.“

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და დასაქმებულთა მძიმედ დაშავების თუ დაღუპვის შემთხვევები დღემდე საზოგადოების მუდმივი დისკუსიის საგანია. შრომის სამინისტროში სპეციალური დეპარტამენტის არსებობის მიუხედავად, ოფიციალურმა სტატისტიკამ აჩვენა, რომ საწარმოო ტრამვების შედეგად დაღუპულთა და დაშავებულთა მაჩვენებელი, დეპარტამენტის ფუნქციონირების პერიოდში არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. 2016 წელს, წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა 58 და დაშავდა 85 დასაქმებული.

თუმცა არც 2017 წელია გამონაკლისი. განსაკუთრებულად ტრაგიკული იყო ტყიბულის შახტაზე მომხდარი საწარმოო შემთხვევა, რომლის შედეგად 4 მეშახტე დაიღუპა. ამ შემთხვევას საზოგადოების ძლიერი რეაქცია და სხვადასხვა ჯგუფის საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ხელისუფლების წარმომადგენლები კი უსაფრთხოების პოლიტიკის სისუსტესა და სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ზომების მიღების საჭიროებაზე ალაპარაკდნენ.

აღნიშნული მოვლენებიდან მალე, საქართველოს მთავრობამ პარლამენტში „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის პროექტი წარადგინა, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია დასაქმების ადგილებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებისა და შრომის უსაფრთხოების ბაზისური გარანტიების დადგენის კუთხით. თუმცა წარმოდგენილი საკანონმდებლო პაკეტი სათანადოდ ვერ პასუხობს ქვეყანაში შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის ზედამხედველობის საჭიროებებს, რამდენადაც კანონპროექტის ხარვეზები მნიშვნელოვნად ასუსტებს მის ეფექტიანობას და არ ქმნის დასაქმებულთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რეალური და სათანადო დაცვის შესაძლებლობას.

EMC აქტიურად იყო ჩართული შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ დებატებში და მუდმივად აწვდიდა ინფორმაციას საზოგადოებას ამ კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ. ამასთან, EMC-ის, სახალხო დამცველის აპარატის და ფრიდრიხ ებერტის ფონდის (FES) ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე „შრომის ინსპექციის მომავალი საქართველოში.“ კონფერენციაში საქართველოს პრეზიდენტი, ევროკავშირის ელჩი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

როგორ მუშაობს შრომის ინსპექტირების ორგანო სხვადასხვა ქვეყანაში

კონფერენცია: შრომის ინსპექციის მომავალი საქართველოში

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შეფასება

შრომის ინსპექციის გაძლიერების აუცილებლობა ევროკავშირის მხრიდან მიღებული უახლესი პოლიტიკის დოკუმენტების მთავარი საკითხია

სოციალური უფლებები და კონსტიტუციური რეფორმა

კომისიის თავმჯდომარის დაპირების მიუხედავად, სოციალური უფლებების დაცვის უფლებრივი სტანდარტი არაერთი მიმართულებით გაუარესდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესი 2017 წელს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნით დაიწყო და ამ დროის მდგომარეობით საქართველოს პარლამენტმა ორი მოსმენით მიიღო განახლებული კონსტიტუციის ტექსტი.

კონსტიტუციური რეფორმის პროცესში, სოციალური უფლებების დაცვის გარანტიების გაძლიერების მიმართულებით არაერთი ინიციატივა იყო დაყენებული კომისიის წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან და მათ ირგვლივ განსხვავებული ხარისხის თანხმობა არსებობდა. ამასთან, კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესს მუდმივად თან გასდევდა მმართველი გუნდის გაცხადებული მიზანი განახლებულ კონსტიტუციას აესახა სოციალური უფლებების დაცვის უკეთესი უფლებრივი სტანდარტი არსებული სოციალური უსამართლობისა და უთანასწორობის საპასუხოდ. ამ საკითხების აქტუალობისა და მათი კონსტიტუციაში ასახვის მაღალი მოლოდინის მიუხედავად, არაერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი კონსტიტუციის ტექსტს მიღმა დარჩა. სამწუხაროდ ცვლილებათა პაკეტმა არ ასახა ისეთი არსებითი საკითხი, რომელიც შრომის უფლების დაცვაზე ეფექტიანი სახელმწიფო ზედამხედველობის ვალდებულების კონსტიტუციონალიზაციას და კონსტიტუციიდან 94-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების ამოღებას უკავშირდებოდა. მეტიც, კომისიის თავმჯდომარის დაპირების მიუხედავად, სოციალური უფლებების დაცვის უფლებრივი სტანდარტი არაერთი მიმართულებით გაუარესდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური სახელმწიფოს პრინციპის დაზუსტება და მისი განმარტება წარმოადგენს კომისიის მუშაობის ძირითად პოზიტიურ ნაბიჯს სოციალური უფლებების დაცულობის მიმართულებით, რასაც სამწუხაროდ თან არ ახლდა ნაბიჯები უფლებრივი დაცვის გარანტიების გაძლიერებისა და არსებულის შენარჩუნების კუთხით, რამაც საბოლოო ჯამში დაასუსტა სოციალური უფლებების დაცვის გარანტიები კონსტიტუციის ტექსტში.

სოციალური უფლებების კონსტიტუციური სტანდარტების გაძლიერების მიზნით EMC პროცესში საწყის ეტაპზე ჩაერთო და სოციალური უფლებების მკვლევრებთან და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებთან თანამშრომლობით კომისიას ცვლილებების პროექტი წარუდგინა. შეთავაზებები ფარავდა შემდეგ საკითხებს: სოციალური სახელმწიფოს პრინციპის შინაარსი, საცხოვრებლის უფლება, შრომის უფლება, განათლების უფლება, 94-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების ამოღების საკითხი. არსებული სტანდარტების გაძლიერებისა და სოციალური უფლებების დაცვის გარანტიების შესუსტების წინააღმდეგ, ორგანიზაცია ავრცელებდა საჯარო განცხადებებსა და შეფასებებს. ასევე EMC-მა პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან თანამშრომლობით ვენეციის კომისიას მიმართა.

EMC კონსტიტუციური რეფორმის კონტექსტში საზოგადობას პერიოდულად სთავაზობდა სხვადასხვა მეცნიერისა და მკვლევარის სტატიებსა თუ ბლოგებს პროცესში გამოკვეთილ აქტუალურ საკითხებზე დისკუსიის წამოჭრის მიზნით.

როგორ აისახა სოციალური უფლებები განახლებულ კონსტიტუციაში



- *EMC-მა საკონსტიტუციო კომისიას კონსტიტუციის ტექსტში სოციალური უფლებების გარანტირების მიზნით მიმართა*
- *EMC-ის მოსაზრებები კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტთან დაკავშირებით*
- *როგორ აისახა სოციალური უფლებების დამცავი გარანტიები განახლებულ კონსტიტუციაში*
- *საქართველოს კონსტიტუციაში ღირსეული საცხოვრისის უფლების ასახვის საკითხისათვის*
- *რამდენიმე მოსაზრება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის მეორე თავში შენარჩუნების მნიშვნელობაზე*

სოციალური უფლებების კონსტიტუციური სტანდარტების გაძლიერების მიზნით EMC პროცესში საწყის ეტაპზე ჩაერთო და სოციალური უფლებების მკვლევრებთან და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრებთან თანამშრომლობით კომისიას ცვლილებების პროექტი წარუდგინა.

უსახლკარობის პრობლემა თბილისში

ფოტო: „ლიბერალი“

მერიისათვის მოქალაქეთა მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი და ის ფაქტი, რომ განხილული განაცხადებების თითქმის ნახევარი უსახლკარო პირის სტატუსისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, უსახლკარობის პრობლემის სისტემურობას უსვამს ხაზს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით პოზიტიური ნაბიჯები არ გადადგმულა. თუმცა, მნიშვნელოვან სიახლედ შეგვიძლია მივიჩნიოთ კონსტიტუციის ტექსტის ზოგად დებულებებში ღირსეული საცხოვრებლის შესახებ ჩანაწერის გაჩენა. საცხოვრებლის უფლების კონსტიუტუციონალიზაციის მომხრეები, მათ შორის EMC მოუწოდებდა საკონსტიტუციო კომისიას საცხოვრისის უფლება აესახა ადამიანის უფლებების თავში, თუმცა, საბოლოოდ ჩანაწერი ზოგადი დებულებების თავმა მოიცვა.

აგრეთვე, ორგანიზაცია აქტიურად სწავლობდა თბილისის მუნიციპალიტეტში უსახლკარო პირთათვის სტატუსის მინიჭებისა და მათი საცხოვრისით დაკმაყოფილების მიზნით შეიქმნილ სპეციალური კომისიის მუშაობას.

კომისიის მუშაობის შესწავლით გამოიკვეთა ამ სტრუქტურის არასაკმარისი და არაეფექტიანი პოლიტიკა უსახლკარო ჯგუფებთან მიმართებით. ხოლო მერიისათვის მოქალაქეთა მიმართვიანობის მაღალი მაჩვენებელი და ის ფაქტი, რომ განხილული განაცხადებების თითქმის ნახევარი უსახლკარო პირის სტატუსისათვის დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, უსახლკარობის პრობლემის სისტემურობას უსვამს ხაზს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კომისია ვერ ახერხებს განცხადებების დროულად შესწავლას და ადეკვატურად რეაგირებას. ამასთან, მუნიციპალიტეტში არსებული საცხოვრისის სერვისები სრულიად არასაკმარისია დააკმაყოფილოს იმ ადამიანთა საჭიროებები, რომლებიც თავად მუნიციპალიტეტმა უსახლკარო პირებად აღიარა.

საქართველოს კონსტიტუციაში ღირსეული საცხოვრისის უფლების ასახვის საკითხისათვის

უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით უზრუნველყოფის კომისიის მუშაობის სტატისტიკა

როგორ დავადგინოთ საქართველოში უსახლკარობის მასშტაბი ?

EMC მოუწოდებდა საკონსტიტუციო კომისიას საცხოვრისის უფლება აესახა ადამიანის უფლებების თავში, თუმცა, საბოლოოდ ჩანაწერი ზოგადი დებულებების თავმა მოიცვა.

მრავალპროფილური ფსიქიატრიული განყოფილებების დახურვა და მისი შედეგები

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამამ სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში ბოლო წლებში დაწყებული დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი.

კერძოდ, დაფინანსების სქემის ცვლილების შედეგად შემცირდა მწვავე შემთხვევების სტაციონარული მომსახურების დაფინანსება, რამაც მრავალპროფილური კერძო საავადმყოფოების ფარგლებში მოქმედი ფსიქიატრიული განყოფილებების ფუნქციონირების შეწყვეტა გამოიწვია. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების, სათემო ორგანიზაციების, დარგის ექსპერტებისა და სერვისის მიმწოდებლების ჩართულობის გარეშე განხორციელდა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირები იძულებული გახადა მომსახურება მიეღო დიდი ზომის ინსტიტუციებში, რომლებიც თავისმხრივ ვერ პასუხობენ ადამიანის უფლებათა ბაზისურ სტანდარტებს.

ცვლილებებს სათემო ორგანიზაციების, პაციენტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფსიქიატრების

მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა მოჰყვა ქუჩის აქციების, წერილობითი მიმართვებისა თუ პეტიციების ფორმით. EMC სხვა ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში და მონაწილეობდა სახალხო დამცველთან არსებულ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შეიქმნა. შედეგად, სამინისტრომ გარკვეული კორექტირება შეიტანა მის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში, რამაც შესაძლებელი გახადა არ დახურულიყო ბავშვთა ფსიქიატრიული განყოფილება. ცვლილებები ასევე შეეხო დაფინანსების ზოგად წესს, თუმცა, შეუძლებელი აღმოჩნდა უკვე დახურული ერთი მულტიპროფილური ფსიქიატრიული განყოფილების ხელახლა გახსნა.

ფოტო: „ნეტგაზეთი“; საპროტესტო აქცია ჯანდაცვის სამინისტროსთან

EMC სხვა ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული მიმდინარე პროცესებში და მონაწილეობთა სახალხო დამცველთან არსებულ სამუშაო ჯგუფში, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით შეიქმნა. შედეგად, სამინისტრომ გარკვეული კორექტირება შეიტანა მის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში.

სტრატეგიული სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში EMC-მა წარმატებით დაასრულა 4 სტრატეგიული საქმე - 2 საქართველოს უზენაესი სასამართლოში, 1 შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და 1 სახალხო დამცველის აპარატის წინაშე.

- მიმდინარე პერიოდში დასრულდა ორი ეკომიგრანტი ბენეფიციარის საქმე, სადაც ორგანიზაცია მოსარჩელეთა ინტერესებს სამივე ინსტანციის სასამართლოში იცავდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ორი ეკომიგრანტი პირისათვის სტიქიური უბედურების ზონიდან გასახლებაზე უკანონოდ უარის თქმის თაობაზე და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ორივე მოსარჩელის მიმართ საქმის წარმოების თავიდან ჩატარება დაავალა.

- EMC შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე იცავდა მარტოხელა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ინტერესს, რომელსაც უკანონოდ შეეზღუდა საარსებო შემწეობის მიღება. ადმინისტრაციული საჩივრის წარმოების ეტაპზე დაკმაყოფილდა საჩივრის ავტორის მოთხოვნა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოს ბენეფიციარის თავდაპირველი შემოწმება დაევალა.

- EMC-ის განცხადების საფუძველზე საქართველოს სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა და საქართველოს მთავრობას დისკრიმინაციული პოლიტიკის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციით მიმართა.

ამას გარდა, საანგარიშო პერიოდში EMC-მა დაიწყო 8 ახალი სტრატეგიული საქმე, მათ შორის:

- საქალაქო სასამართლოში წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებაში მცხოვრები, უსახლკაროდ რეგისტრირებული 2 ოჯახის ინტერესებს და ასაჩივრებს ქ.თბილისის მერიის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფის კომისიის მიერ თავშესაფარი ფართით უზრუნველყოფაზე გაცემულ უკანონო უარს.

- წარმოადგენს ერთ-ერთი დასაქმებულთა გაერთიანების ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ითხოვს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტემენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების მასალებისა და შედეგების გასაჯაროებასა და დასაქმებულებისათვის ინფორმაციის გადაცემაზე უარის თქმის უკანონოდ ცნობას.

- იცავს შპს „ბიბლუსის“ მიერ სამსახურიდან გათავისუფლებული 3 დასაქმებულის ინტერესებს და მათ სამსახურში აღდგენას, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებას, ასევე ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურებასა და უკანონოდ დაკისრებული დანაკლისების დაბრუნებას ითხოვს.
- სასამართლოში წარმოადგენს შპს „ბიბლუსის“ ყოფილი დასაქმებულების, კერძოდ, „ბიბლუსი გალერიში“ არსებული შრომის პირობების შესახებ გავრცელებულ ვიდეო მიმართვაში მონაწილე პირების (მოპასუხეების) ინტერესებს კომპანიის მიერ დაწყებულ დავაში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში გამოხატული აზრის დაცვის მიზნით.
- საკონსტიტუციო სასამართლოში ითხოვს საქართველოს მთავრობის დადგენილების იმ ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლებიც შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტემენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების მასალებისა და შედეგების დახურულობას ადგენს.

დასაქმებულთა, საცხოვრისის არმქონე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, ორგანიზაცია 15 საქმეს აწარმოებს საერთო სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.

კონსტიტუციური რეფორმა



2016 წლის ბოლოს პარლამენტის დადგენილებით შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც სამუშაო ჯგუფების ფორმატში მუშაობა 2017 წლის 21 იანვარს დაიწყო და 16 აპრილს დაასრულა. EMC-მა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა მოსაზრებები კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. წინადადებები, მათ შორის, შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდას, პროკურატურის, უსაფრთხოების სექტორისა და სამართალდამცავი ორგანოების კონსტიტუციური გარანტიების უკეთ ჩამოყალიბებას. პოზიტიურია, რომ კონსტიტუციური რეფორმით პროკურატურა აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დისტანცირებულ დამოუკიდებელ ორგანოდ ყალიბდება. თუმცა, სამწუხაროა, რომ სამართალდამცავი ორგანოების დამოუკიდებლობის მიმართულებით კონსტიტუციაში სხვა მნიშვნელოვანი სიახლეები დაგეგმილი არ არის. რაც შეეხება, სასამართლო სისტემას, მნიშვნელოვანია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა არჩევისთვის კონსტიტუციის დონეზე განისაზღვრება პარლამენტის სრული შემადგენლობის სამი მეხუთედის უმრავლესობა. სამწუხაროდ, 2024 წლამდე გადავადდა მოსამართლეთა საგამოცდო ვადით დანიშვნის გაუქმება. ასევე, ცვლილებების პროექტში არ მოხვდა მოსამართლეთა დასაბუთებული გადაწყვეტილებით დანიშვნის შესახებ მითითება. უზენაესი სასამართლოს წევრების ნომინირების ექსკლუზიური უფლებამოსილება კი მიენიჭა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რაც მოსალოდნელია რომ კიდევ უფრო გააღრმავებს პრობლემებს სასამართლო სისტემაში.

ცვლილებების პროექტის პირველი და მეორე მოსმენა პარლამენტში ნაჩქარევად წარიმართა, რამაც ვერ უზრუნველყო ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულყოფილი ასახვა პროექტში.

პარლამენტში, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მეორე მოსმენის კენჭისყრის პროცედურა.
პარლამენტი კონსტიტუციურ კანონპროექტს მესამე მოსმენით, საშემოდგომო სესიაზე განიხილავს.

მიუხედავად პროექტით გათვალისწინებული არაერთი ცვლილებისა, საწყისი ეტაპიდანვე ნათელი იყო, რომ კონსტიტუციური რეფორმის ინიციატორებისთვის პრიორიტეტულ საკითხს პრეზიდენტის არჩევის წესისა და უფლებამოსილებების ცვლილება წარმოადგენდა. სამწუხაროდ, პოლიტიკური ხელისუფლებისა და მმართველობის მოდელთან დაკავშირებით კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ხელს არ უწყობს პოლიტიკური მრავალფეროვნების დამკვიდრებას და პლურალური პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველყოფას პარლამენტში. ამ მიმართულებით განსაკუთრებით სამწუხაროა საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით მოულოდნელად და ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც გადავადდა პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ცვლილებების პროექტის პირველი და მეორე მოსმენა პარლამენტში ნაჩქარევად წარიმართა, რამაც ვერ უზრუნველყო ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულყოფილი ასახვა პროექტში.

EMC-ის მოსაზრებები კონსტიტუციური რეფორმის პროცესში განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით

EMC საკონსტიტუციო კომისიის მუშაობას და კონსტიტუციური ცვლილებების პროექტს აფასებს

EMC-მა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას წარუდგინა მოსაზრებები კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით. წინადადებები, მათ შორის, შეეხებოდა მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის გაზრდას, პროკურატურის, უსაფრთხოების სექტორისა და სამართალდამცავი ორგანოების კონსტიტუციური გარანტიების უკეთ ჩამოყალიბებას.

ცვლილებები მოსმენების მარეგულირებელ კანონში

მოსმენების განმახორციელებლი სააგენტო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის ფორმით ჩამოყალიბდა, რითაც დაირღვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარი პრინციპი.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომლითაც არაკონსტიტუციურად გამოცხადდა ფარული მოსმენების მარეგულირებელი კანონმდებლობა, საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის პირველ მარტს მიიღო კანონი, რომლითაც შექმნა ფარული მოსმენების განმახორციელებელი სააგენტო. სამწუხაროდ, პარლამენტის მიერ დადგენილი ცვლილებებით მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების უგულებელყოფა და პირადი ცხოვრების გარანტიები გაზრდის ნაცვლად, კიდევ უფრო შესუსტდა. მოსმენების განმახორციელებელი სააგენტო უსაფრთხოების სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ის ფორმით ჩამოყალიბდა, რითაც დაირღვა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მთავარი პრინციპი - მოსმენების ტექნიკური შესაძლებლობა არ უნდა ჰქონოდა იმ უწყებას, რომელსაც იმავდროულად საგამოძიებო მიზნები გააჩნია. გარდა ამისა, ახლადშექმნილ სააგენტოს შეუნარჩუნდა პირდაპირი წვდომა ელექტრონულ კომუნიკაციებზე. ასევე, კანონმდებლობით განისაზღვრა კერძო კომპანიების საქმიანობაში სააგენტოს ჩარევის შესაძლებლობა.

ფარული მიყურადების მარეგულირებელი ახალი კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას

300-მდე მოქალაქის სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში გაიგზავნა

კამპანია "ეს შენ გეხებას" მონაწილე ორგანიზაციებმა განხორციელებული ცვლილებები უარყოფითად შეაფასეს და კონსტიტუციასთან წინააღმდეგობის შენარჩუნების გამო, რამდენიმე ათეულ მოქალაქესთან ერთად, კიდევ ერთხელ მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამჟამად, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს ახლადშექმნილი სააგენტოს მიერ ფარული მიყურადების სისტემის კონსტიტუციურობის საკითხს.

ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის

შემუშავებული კანონპროექტის მთავარი მიზანია დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკის ზრუნვასა და მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომებით ჩანაცვლება.

EMC-მა ნარკოპოლიტიკის ეროვნულ პლატფორმასთან ერთად მოამზადა კომპლექსური კანონპროექტი რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ცვლილებისთვის და 2017 წლის დასაწყისიდან აქტიურად მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტთან შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სადაც კანონპროექტის განხილვები მიმდინარეობდა. შემუშავებული კანონპროექტის მთავარი მიზანია დასჯაზე ორიენტირებული პოლიტიკის ზრუნვასა და მკურნალობაზე ორიენტირებული მიდგომებით ჩანაცვლება. 2017 წლის საგაზაფხულო სესიის მიწურულს მომზადებული კანონპროექტი პარლამენტში დარეგისტრირდა. კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებებს როგორც სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაში, ასევე მიზნად ისახავს კომპლექსური რეფორმის გატარებას ჯანდაცვის და მოხმარების პრევენციის მიმართულებით.

კანონპროექტის ცალკეული მიმართულებები შეეხება:

- ყველა ტიპის ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების დეკრიმინალიზაციას;

კონფერენცია - „ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის"

- პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობით ყველა ტიპის ნარკოტიკული ნივთიერების ფლობის დეკრიმინალიზაციას;
- ნარკოტიკული დანაშაულისთვის (გარდა ნარკოტიკების ბრუნვასთან დაკავშირებული ქმედებებისა) სისხლისსამართლებრივი სანქციების შემსუბუქებას;
- ნარკოტიკული ნივთიერებების დოზების სამართლიანად განსაზღვრას;
- ღირსებისშემლახავი ნარკოტესტირების მექანიზმის ცვლილებას;
- ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას და ავტომატურად უფლებების შეზღუდვის მექანიზმის გაუქმებას.

კონსტიტუციური სარჩელი ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობებზე

EMC-ის, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის დახმარებით, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული აქვს ნარკოტიკული ნივთიერებების ოდენობები და კონკრეტული ნივთიერებების ფლობისთვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელები.

სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, ადამიანები გათავისუფლდებიან საპატიმრო სასჯელისგან, ან პირობითი მსჯავრისგან, თუკი ისინი სასჯელს იხდიან ქვემოთ მოყვანილი ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობისთვის, შესაბამისი ოდენობებით:

- მორფინი - 0.04
- ჰეროინი - 0.2640
- ბუპრენორფინი - 0.0149
- ლიზერგიდი - 0.00172
- დეზომორფინი - 0.0047
- კოდეინი - 0.024919725
- მეტამფეტამინი - 0.024919725
- ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება AB-CHMINACA - 3.48
- მეთადონი - 0.3483
- კანაფის ფისი - 0.2215

EMC

კონსტიტუციური სარჩელი ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთათვის უფლებების ჩამორთმევაზე

EMC-ის, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის დახმარებით, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული აქვს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულ პირთათვის დამატებითი უფლებების ჩამორთმევის მექანიზმი.

სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შემთხვევაში, მსჯავრდებულებს აღარ შეეზღუდებათ შემდეგი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა:

- ტრანსპორტის მართვის უფლება
- საექიმო/ფარმაცევტული საქმიანობა
- საადვოკატო საქმიანობა
- პედაგოგიური/საგანმანათლებლო საქმიანობა
- სახელმწიფო დაწესებულებაში საქმიანობა
- არჩევნებში პასიური მონაწილეობა

EMC

ნარკოპოლიტიკის ეროვნულმა პლატფორმამ მხარდაჭერა გამოუცხადა ნარკოპოლიტიკის რეფორმის მიზნით პარლამენტში კანონპროექტის ინიცირებას. კანონპროექტის სრულყოფილი სახით მიღება თვისობრივად შეცვლის სახელმწიფო პოლიტიკას ამ სფეროში, გაზრდის მკურნალობასა და რეაბილიტაციაში ჩართული პირების რაოდენობას, შეამცირებს დაავადებების გავრცლეების რისკს, გააუმჯობესებს არაერთი პირის სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება არსებული სტიგმის დაძლევაში.

ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის

ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა მიესალმება ნარკოპოლიტიკის რეფორმის კანონპროექტის პარლამენტში ინიცირებას

მომზადებული საკანონმდებლო პაკეტის ფართომასშტაბიანი განხილვის მიზნით EMC-მა გამართა კონფერენცია “ცვლილებები ჰუმანური ნარკოპოლიტიკისთვის”, რომელსაც პარლამენტის წევრებთან ერთად, აქტივისტები და სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კვლევა ნარკოტიკული დანაშაულების გამოძიების ტენდენციებზე

სტურუას საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულების მიუხედავად, სასამართლომ ბრალდებული პოლიციელი ყველა წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა.

ნარკოტიკებთან დაკავშირებულმა რამდენიმე გახმაურებულმა საქმემ ნარკოპოლიტიკის და მთლიანად სამართალდამცავი სისტემის რეფორმის საკითხი კიდევ ერთხელ კრიტიკულად დააყენა დღის წესრიგში. 2017 წლის მარტში პოლიციამ რამდენიმე პირი დააკავა ნარკოტიკების უკანონო ფლობის ბრალდებით. ბრალდებული პირები და მათი ადვოკატები საქმეში მთავარი მტკიცებულებების - ნარკოტიკული ნივთიერების ფალსიფიკაციაზე და პოლიციის მხრიდან ჩადებაზე საუბრობდნენ. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით არსებული ეჭვების გათვალისწინებით EMC-მა შეისწავლა სამი გახმაურებული საქმე (შოთა პაკელიანი, დავით ხარშილაძე, მიხეილ თათარიშვილი) და ივნისში გამოაქვეყნა ანგარიში "ხარვეზები ნარკოტიკული დანაშაულების გამოძიების და დევნის პროცესში". კვლევის მიზანს ხსენებულ საქმეებში შესაძლო პროცედურული დარღვევების გამოკვეთა და კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში მათი მაპროვოცირებელი სისტემური მიზეზების აღმოჩენა წარმოადგენდა. საქმეთა ანალიზმა გამოავლინა მათთვის საერთო სამართლებრივი პრობლემები და ხელწერა, ასევე მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევები, რაც ქმნის უნდობლობის საფუძველს ამ საქმეებში გამოძიების ობიექტურად და კანონიერად განხორციელებასთან დაკავშირებით. ხსენებული სამი გახმაურებული საქმის გარდა, საპოლიციო და მართლმსაჯულების სისტემის მანკიერება გამოავლინა ე.წ "რეპერების საქმემ", რომელშიც პოლიციამ ორი ახალგაზრდა მუსიკოსი დააკავა ნარკოტიკების ფლობის ბრალდებით.

ხარვეზები ნარკოტიკული დანაშაულების გამოძიებისა და დევნის პროცესში

დაკავება დაემთხვა მათ მიერ პოლიციის "გაშარჟებას" ვიდეო კლიპში, რომელიც გამოქვეყნებიდან მალევე ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში. ფაქტობრივი გარემოებების თანხვედრამ საფუძვლიანი ეჭვი გააჩინა ნარკოტიკების პოლიციის მხრიდან განზრახ ჩადებასთან დაკავშირებით. "რეპერების საქმის" განხილვას დაემთხვა დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმეში ბრალდებული პოლიციელის გამართლება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ. სტურუას საქმეში არსებული არაერთი მტკიცებულების მიუხედავად, სასამართლომ ბრალდებული პოლიციელი ყველა წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა. ერთობლიობაში ხსენებული საქმეების განხილვამ კიდევ ერთხელ დასვა მართლმსაჯულების და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში სისტემური ხარვეზების და თვითნებობის საკითხი. კოალიციამ დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის ხელისუფლებას მოუწოდა გაატაროს ნარკოპოლიტიკის და სამართალდამცავი სისტემის რეალური რეფორმა.



ფოტო: „თეთრი ხმაურის მოძრაობა"

EMC-მა შეისწავლა სამი გახმაურებული საქმე (შოთა პაკელიანი, დავით ხარშილაძე, მიხეილ თათარიშვილი) და ივნისში გამოაქვეყნა ანგარიში "ხარვეზები ნარკოტიკული დანაშაულების გამოძიების და დევნის პროცესში". კვლევის მიზანს ხსენებულ საქმეებში შესაძლო პროცედურული დარღვევების გამოკვეთა და კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში მათი მაპროვოცირებელი სისტემური მიზეზების აღმოჩენა წარმოადგენდა.

პოლიციის გამჭვირვალობის ხარისხი



კვლევის ფარგლებში პარტნიორმა ორგანიზაციებმა შეისწავლეს შსს-ში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი, სამინისტროს მიერ სტატისტიკის წარმოების, სხვადასხვა მონაცემთა ბაზების შექმნის მეთოდები და ფორმები, ასევე სამინისტროში მოქმედი საკადრო პოლიტიკა.

2017 წლის აპრილში EMC-მა და საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ საზოგადოებას წარუდგინეს ანგარიში, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიციის სისტემაში გამჭვირვალობის სტანდარტის შეფასებას, ასევე გამჭვირვალობის შემაფერხებელი მიზეზების იდენტიფიცირებას და პოლიციის სისტემაში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. კვლევის ფარგლებში პარტნიორმა ორგანიზაციებმა შეისწავლეს შსს-ში საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხი, სამინისტროს მიერ სტატისტიკის წარმოების, სხვადასხვა მონაცემთა ბაზების შექმნის მეთოდები და ფორმები, ასევე სამინისტროში მოქმედი საკადრო პოლიტიკა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- სამინისტრო პასუხობს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შესულ განცხადებებს, თუმცა პრობლემაა ინფორმაციის მიღება კნონით დადგენილ ვადებში, ასევე ინფორმაციის მიღება სრულყოფილი სახით;
- სტატისტიკური მონაცემების წარმოება არ ეფუძნება სისტემატიზებულ პროცედურას;
- სხვადასხვა კატეგორიის მონაცმების შენახვის ვადები პრობლემურია;
- ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მონაცემთა ბაზებზე არამიზნობრივი წვდომის პრევენცია რჩება;
- საკადრო საკითხების მომწესრიგებელი დებულებები ბუნდოვანია და საკანონმდებლო დონეზე არ არის განსაზღვრული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამჭვირვალობის ხარისხის შეფასება

სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები

კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებში მომზადდა კვლევა “სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები”, რომელიც, მიზნად ისახავდა ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი რეფორმის შუქზე კომპლექსურად შეფასებულიყო არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო.

EMC მონაწილეობდა სასამართლო სისტემაზე მომზადებული ფართომასშტაბიან კვლევაში, რომელიც კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ ფარგლებში მომზადდა. კვლევა “სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები” მიზნად ისახავდა ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი რეფორმის შუქზე კომპლექსურად შეფასებულიყო არსებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო. კვლევაში განხილულია ბოლო წლების ძირითადი ტენდენციები სასამართლო სისტემაში, ასევე გენდერული საკითხებისადმი მოსამართლეთა განწყობები,

მართლმსაჯულების და დემოკრატიის პრომგრამა

სასამართლო ხელისუფლების ფორმირებაში არსებული პრობლემები, გამოწვევები მოსამართლეთა დამოუკიდებლობის მექანიზმებთან დაკავშირებით, სასამართლოს ადმინისტრირების და მენეჯმენტის პროცესები ასევე მოსამართლეთა პახუსიხმგებლობის სისტემა. კვლევამ აჩვენა, რომ 2012 წლის შემდეგ სისტემაში განხორციელებული რამდენიმე რეფორმის ეტაპის მიუხედვად, სასამართლო სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რაც სისტემის ჩაკეტილობაში, მოსამართლეთა დომინანტური ჯგუფის გაძლიერებასა და დახურულ კარს მიღმა არაფორმალური მოლაპარაკებების წარმოებაში გამოიხატება.

საჯარო ფორუმი: საქართველოს მართლმსაჯულების სისტემა: რეფორმების შედეგები და პერსპექტივები.

EMC-მა კოალიციის საჯარო ფორუმზე მომზადებული კვლევის ნაწილები წარმოადგინა.

სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხარვეზიანი საქმიანობა

მოსამართლეთა დანიშვნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "მესამე ტალღის" რეფორმით განხორციელებული ცვლილებები საბჭოს კვლავ უტოვებს თვითნებობის და ყოველგავრი დასაბუთების გარეშე, გადაწყვეტილების ფარულად მიღების შესაძლებლობას.

განვლილი პერიოდის განმავლობაში სასამართლოში კრიტიკის მთავარი ობიექტი კვლავ იუსტიციის უმაღლესი საბჭო და მის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების ნაჩქარევი და დაუსაბუთებელი მიღება იყო. საბჭომ, რომლის შემადგენლობის ნახევარს უფლებამოსილების ვადა 2017 წლის ივნისში ეწურებოდა, ფორსირებულ რეჟიმში მოასწრო არაერთი საკადრო გადაწყვეტილების მიღება. 2017 წლის 11 მაისს თანამდებობაზე დანიშნა 64 მოსამართლე, ნაწილი კი უვადოდ. დანიშნულ მოსამართლეებს შორის იყვნენ კანდიდატები, რომელთა კეთილსინდისიერებისა და რეპუტაციის მიმართ საზოგადოებაში არაერთი კითხვა არსებობს. მოსამართლეთა დანიშვნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ "მესამე ტალღის" რეფორმით განხორციელებული ცვლილებები საბჭოს კვლავ უტოვებს თვითნებობის და ყოველგავრი დასაბუთების გარეშე, გადაწყვეტილების ფარულად მიღების შესაძლებლობას. ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე საბჭომ ასევე მოასწრო არაერთი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა 5 წლის ვადით. კოალიცია, რომლის აქტიური წევრია EMC საბჭოს მოუწოდებდა ნაჩქარევი პროცესის გზით არ დაეკომპლექტებინა მნიშნელოვანი ადმინისტრაციული პოზიციები, რაც არაერთი წლით გადაავადებდა ამ ადგილებზე გამართული პროცესის გზით თავმჯდომარეების გამწესების შესაძლებლობას. წლების განმავლობაში სასამართლო სისტემაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარეები სისტემის შიგნით ყველაზე გავლენიან ჯგუფს წარმოადგენენ. ამდენად, საბჭოს მხრიდან თანამდებობებზე მათი ხარვეზიანი პროცედურებით დანიშვნა არამარტო მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული პოზიციების დაკომპლექტებას გლისხმობდა, არამედ ამ ჯგუფის გავლენების კიდევ უფრო გაძლიერებას სასამრთლო სისტემის შიგნით. კოალიციის მხრიდან საბჭოს ნაჩქარევი მოქმედება ამ შემთხვევაშიც უარყოფითად შეფასდა.

კოალიცია სასამართლოში განვითარებულ პროცესებს უარყოფითად აფასებს

მოვუწოდებთ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არ დანიშნოს სასამართლოს თავმჯდომარეები გაუმჭვირვალე პროცესით

კოალიცია, რომლის აქტიური წევრია EMC საბჭოს მოუწოდებდა ნაჩქარევი პროცესის გზით არ დაეკომპლექტებინა მნიშნელოვანი ადმინისტრაციული პოზიციები, რაც არაერთი წლით გადაავადებდა ამ ადგილებზე გამართული პროცესის გზით თავმჯდომარეების გამწესების შესაძლებლობას.

ძალადობის ფაქტები და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საჭიროება

მჭედლიშვილის, სტურუას და სხვა გახმაურებული საქმეების გამოძიების პროცესზე დაკვირვება კიდევ ერთხელ დღის წესრიგში სვამს დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის საკითხს, რომელზეც ცალსახა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

საჯარო სივრცეში ძალადობის შემთხვევებს შორის, განსაკუთრებით საგანგაშო იყო თავდასხმა გენერალურ აუდიტორზე, რომელიც მისივე თქმით ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ განახორციელა. დაზარალებულის განცხადებით თავდასხმა აუდიტის სამსახურში შესწავლის ეტაპზე მყოფ ერთ-ერთ საქმეს უკავშირდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხებოდა კონსტიტუციური ორგანოს ხელმძღვანელის მიმართ, სავარაუდოდ, ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის მხრიდან განხორციელებულ ძალადობას სახელმწიფო ორგანოს წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმესთან კავშირში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოუწოდეს პარლამენტს შეექმნა საგამოძიებო კომისია აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება არ მიიღო. საქმეზე გამოძიება კი ამ დრომდე გრძელდება და საზოგადოებისთვის დამატებითი დეტალები ცნობილი არ არის, რაც ცხადია ამცირებს სანდოობას მიმდინარე გამოძიების მიმართ. გასათვალისწინებელია, რომ საწყისი ეტაპიდანვე გამოძიების ობიექტურობის მიმართ არაერთი კითხვა არსებობდა. ინციდენტიდან მხოლოდ რამდენიმე დღის გასვლის შემდეგ გადაწყვიტა საგამოძიებო ორგანომ ყოფილი მთავარი პროკურორის გამოკითხვა, შემთხვევის ამსახველი ვიდეო კადრები კი დაგვიანებით და ფრაგმენტულად გამოაქვეყნა.

კოალიცია ეხმიანება არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დეპარტამენტის შექმნის შესახებ წარმოდგენილ კანონპროექტს

EMC მოუწოდებს მთავარ პროკურორს დაინტერესდეს პოლიციაში ვლადიმერ მჭედლიშვილის ცემის საქმეზე მიმდინარე გამოძიებით

იმ ფონზე, რომ გამოძიებას არსებითი და ახალი ამ დრომდე არაფერი უთქვამს, ცხადია კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მთლიანად საქმეზე ობიექტური გამოძიების ჩატარების საკითხი, რაც კიდევ ერთხელ სამართალდამცავ ორგანოებში არსებულ სისტემურ პრობლემაზე მიუთითებს. სამართალდამცავ ორგანოებში მანკიერი პრაქტიკისა და დაუსჯელობის პრობლემის გამოვლინება იყო მოქალაქე ვლადიმერ მჭედლიშვილის მიმართ სავარაუდოდ პოლიციის მხრიდან განხორციელებული ძალადობა, რომელიც სიღნაღის პოლიციის განყოფილებაში მოხდა. მჭედლიშვილის ადმინისტრაციული დაკავების და პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ, მის მიმართ პოლიციის თანამშრომელმა განახორციელა ფიზიკური შეურაცხყოფა, რის შედეგადაც დაზარალებულს ჩამტვრეული აქვს სამი ნეკნი. საქმეზე გამოძიება უფლებამოსილების გადამეტების მუხლით მიმდინარეობს და მჭედლიშვილს ამ დრომდე არ აქვს დაზარალებულის სტატუსი. საწყისი ეტაპიდანვე საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაში არაერთი ხარვეზის გათვალისწინებით, გამოძიების ობიექტურობის და დროულობის მიმართ ლეგიტიმური ეჭვები არსებობს. ხსენებული ხარვეზების გათვალისწინებით, EMC-მა, რომელიც ვლადიმერ მჭედლიშვილის ინტერესებს წარმოადგენს მიმართა მთავარ პროკურორს განიხილოს საქმეზე ქვემდებარეობის შეცვლის საკითხი. მჭედლიშვილის, სტურუას და სხვა გახმაურებული საქმეების გამოძიების პროცესზე დაკვირვება კიდევ ერთხელ სვამს დღის წესრიგში დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნის საკითხს, რომელზეც ცალსახა პოლიტიკური გადაწყვეტილება ამ დრომდე არ არის მიღებული.

საწყისი ეტაპიდანვე საგამოძიებო ორგანოების საქმიანობაში არაერთი ხარვეზის გათვალისწინებით, გამოძიების ობიექტურობის და დროულობის მიმართ ლეგიტიმური ეჭვები არსებობს. ხსენებული ხარვეზების გათვალისწინებით, EMC-მა, რომელიც ვლადიმერ მჭედლიშვილის ინტერესებს წარმოადგენს მიმართა მთავარ პროკურორს განიხილოს საქმეზე ქვემდებარეობის შეცვლის საკითხი.

სტრატეგიული სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში EMC რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმის წარმოებაში ჩაერთო, მათ შორის:

- იცავს ვლადიმერ მჭედლიშვილის ინტერესებს, რომელიც ადმინისტრაციული დაკავების დროს პოლიციის განყოფილებაში სცემეს. მჭედლიშვილმა მიიღო მძიმე დაზიანებები, მათ შორის, სამი ნეკნის მოტეხილობა. საქმეზე დაწყებულია გამოძიება უფლებამოსილების გადამატების მუხლით, თუმცა მჭედლიშვილი დაზარალებულად ცნობილი არ არის;

- იცავს 9 მაისს (ტყიბულში 4 მეშახტის დაღუპვის დღეს) თბილისში, რუსთაველზე გამართული საპროტესტო აქციის სამი მონაწილის ინტერესებს, რომლებიც აქციის მიმდინაროებისას პოლიციამ ადმინისტრაციული წესით დააკავა და მათ პირველი ინსტანციის სასამართლომ პოლიციელებისადმი დაუმორჩილებლობისთვის ჯარიმა შეუფარდა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.

გარდა ამისა, EMC აგრძელებდა, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან თვითნებობისა და უფლებამოსილების გადამატების ფაქტებზე საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესების წარმოდგენას სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში. ასევე, ორგანიზაცია აგრძელებს არაერთი საქმის წარმოებას, რომელიც მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავ ორგანოებში ინფორმაციის ხელმისაწვდომის გაზრდას ისახავს მიზნად (მათ შორის, საქმეები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, უსაფრთხოების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ).

რელიგიის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა

იმ პირობებში, როდესაც ბათუმში არა ერთი საეკლესიო ნაგებობაა აშენებული, მათ შორის, საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს და ასევე, თუ მხედველობაში მივიღებთ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის პროცესის ირგვლივ შექმნილ ზოგად პოლიტიკურ კონტექსტს, ჩნდება მერიის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დასაბუთებული ვარაუდი.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული პოლიტიკა

ფოტო: ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფი

მუსლიმი თემი წლების განმავლობაში ითხოვს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობას. ორთა ჯამეს ისტორიული მეჩეთი, არასაკმარისი სივრცის გამო, ვერ იტევს მლოცველებს, რის გამოც ასობით მუსლიმ მლოცველს რეგულარულად ღია ცის ქვეშ, ქუჩაში უწევს ლოცვა. საქართველოს მთავრობამ და აჭარის ხელისუფლებამ მუსლიმი თემის თვითორგანიზებულ ჯგუფს სავარაუდოდ დისკრიმინაციული მოტივით უარი განუცხადა ბათუმში მეჩეთის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გადაცემაზე, რის გამოც მუსლიმმა თემმა საკუთრი სახსრებით, განვადებით, შეიძინა მიწის ნაკვეთი ქალაქის ცენტრში და ბათუმის მერს მშენებლობის ნებართვის გაცემის მოთხოვნით მიმართა. 2017 წელს 5 მაისს ბათუმის მერმა მუსლიმ თემს მშენებლობის ნებართვის პირველ სტადიაზე უარი განუცხადა იმ არგუმენტით, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი საცხოვრებელ ზონა 6-ში მდებარეობს, რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონას, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას საცხოვრებელი სახლები შეადგენს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას EMC ორი ძირითადი არგუმენტით აკრიტიკებს: 1. ბათუმის განაშენიანების წესების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6 არ წარმოადგენს ექსკლუზიურად საცხოვრებელი სახლებისთვის განკუთვნილ სივრცეს და აღნიშნულ ზონაში დასაშვებია სხვა სახის საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობის, მათ შორის, საეკლესიო ობიექტების მშენებლობა როგორც სპეციალური ზონალური შეთანხმებით, ასევე მის გარეშე.

ამ შემთხვევაში კი აშკარაა, რომ ბათუმის მერმა ამ სივრცეში საკულტო ნაგებობის მშენებლობის დასაშვებობაზე დისკრეციული უფლებამოსილება რელიგიის თავისუფლების დაცვის ინტერესის სრული უგულებელყოფით გამოიყენა და ქალაქგანვითარების აბსტრაქტული და დაუსაბუთებელი ინტერესი დაუსაბუთებლად აღმატებულ საჯარო სიკეთედ მიიჩნია; 2. იმ პირობებში, როდესაც ბათუმში არა ერთი საეკლესიო ნაგებობაა აშენებული, მათ შორის, საცხოვრებელი კორპუსების სიახლოვეს და ასევე, თუ მხედველობაში მივიღებთ ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის პროცესის ირგვლივ შექმნილ ზოგად პოლიტიკურ კონტექსტს, ჩნდება მერიის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის დასაბუთებული ვარაუდი. მუსლიმი თემის სახელით EMC-მა, TDI-სთან ერთად, ბათუმის მერიის გადაწყვეტილება 2017 წლის 10 ივნისს ბათუმის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. მუსლიმი თემი შეძენილ მიწის ნაკვეთზე მოწყობილ ხის ფარდულში რეგულარულ ლოცვებს აგრძელებს. რამადანის პერიოდში ამ სივრცეში ასობით მლოცველი და სასულიერო პირი იყრიდა თავს. ამ დრომდე ადგილობრივ ხელისუფლებას ზოგადი განცხადებების მიღმა, რომ საკითხი პოზიტიურად გადაწყდება, არაფერი გაუკეთებია. აჭარის მთავრობა და მერია კვლავ ორთა ჯამეს გაფართოების ვერსიაზე უთითებენ, რაც მუსლიმი თემისთვის მისაღები არ არის. მიმდინარე პროცესების დროს კვლავ თვალშისაცემი იყო სამუფტო სამმართველოსა და მრევლის პოზიციებს შორის განსვლა.

მუსლიმი თემის წინაშე არსებული პრობლემების აქტუალიზებასა და ადვოკატირების მიზნით, საანგარიშო პერიოდში EMC-მა კონფერენცია და საინფორმაციო შეხვედრა გამართა.

სოფელ მოხეში არსებული მდგომარეობა

სადავო ისტორიული შენობების დიდ ნაწილზე პრეტენზიას დომინანტი რელიგიური ინსტიტუცია გამოთქვამს. სახელმწიფო კი წლების განმავლობაში ვერ ბედავს სეკულარული და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას.

ფოტო: „სამხრეთის კარიბჭე“

2017 წლის 11 მაისს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მდებარე, კლუბის სტატუსით რიცხულ, შენობასთან დაკავშირებით არსებული გარემოებების შემსწავლელმა კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და საქმიანობა შეწყვიტა. კომისიის გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს ახალი მეჩეთის მშენებლობისთვის სოფელ მოხეში მდებარე მიწის ნაკვეთი ერთ-ერთი მუსლიმი პირისგან გადაეცა, სადავო საკულტო ნაგებობა კი ამავე (სადავო) სტატუსით მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოს გადაეცა საკუთრებაში და ძეგლთა დაცვის სააგენტოს შენობის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა ნუსხაში შეტანა და შენობაზე ზრუნვა დაევალა. EMC-ის შეფასებით, კომისიის გადაწყვეტილებით ნათელი გახდა, რომ სახელმწიფომ რეალურად ვერ მოახერხა სადავო ისტორიული შენობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობის შესწავლა და მისი ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების/რესტიტუციის პროცესის დაწყება.

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვის თაობაზე სარჩელი სასამართლოში გაიგზავნა

მოხის კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებას აფასებს

აჭარაში საპატრიარქოსთვის საკულტო ნაგებობების მშენებლობისთვის გადაცემული უძრავი ქონებები

EMC-ის შეფასება ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობაზე მერიის უართან დაკავშირებით

EMC-ის შეფასებით, კომისიის გადაწყვეტილებით ნათელი გახდა, რომ სახელმწიფომ რეალურად ვერ მოახერხა სადავო ისტორიული შენობის ისტორიული და კონფესიური წარმომავლობის შესწავლა და მისი ისტორიული მესაკუთრისთვის დაბრუნების/რესტიტუციის პროცესის დაწყება.

მოხის სკოლაში მუსლიმი მოსწავლეების დისკრიმინაციული შევიწროების ფაქტები

მიმდინარე პროცესების ფონზე სოფელში კვლავ დაძაბულობაა და კონსერვირებული კონფლიქტის გადასაჭრელად სახელმწიფო არაფერს აკეთებს.

ფოტო: „სამხრეთის კარიბჭე“; მოსწავლეების პროტესტი

მოხის სკოლაში მუსლიმი მოსწავლეების სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტები გამოვლინდა, რომელიც დირექტორის მიერ მუსლიმი გოგონასთვის თავსაფრის მოხსნის თაობაზე ულტიმატუმის ეპიზოდით დაიწყო და გოგონას მხარდამჭერი მუსლიმი თანაკლასელების მიმართ განგრძობადი დისკრიმინაციული შევიწროების სახე (დირექტორმა ამავე სკოლის მოსწავლე მუსლიმ ბიჭებს სადავო ისტორიული შენობის წინ ლოცვა აუკრძალა; დამატებითი მოსამზადებელი გაკვეთილები გააუქმა; აგრეთვე სკოლის ავტობუსის მოსვლამდე მოსწავლეებს სკოლის შენობაში დარჩენა და მოცდა აუკრძალა) მიიღო. აღნიშნული საქმე განათლების სამინისტროს მიერ ამ დრომდე სათანადოდ არ არის შეფასებული. თავსაფრის მოხსნაზე დირექტორის მითითების ეპიზოდი სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურმა შუღლის გაღვივების ინტერესით გაამართლა ისე, რომ სათანადოდ არ შეისწავლა მოთხოვნის კანონიერებისა და რელიგიის თავისუფლების სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. მოსწავლის მიერ თავსაბურავის ტარება რწმენის ინდივიდუალური გამოხატვის ფორმაა და ზოგადი განათლების შესახებ კანონი და მისი სულისკვეთება ინდივიდუალური რწმენის გამოხატვას ახალისებს. იმ პირობებში, როდესაც განათლების სამინისტროს პოლიტიკა საჯარო სკოლებში სეკულარული გარემოსა და სასწავლო პროცესის შექმნის მიმართულებით არსებითად სუსტია, ინდივიდუალურ დონეზე მოსწავლეებისთვის რწმენის გამოხატვის შეზღუდვა, რომელიც ჩვენს კულტურულ

კონტექსტში სწორედ მუსლიმ თემს მიემართება, დისკრიმინაციულ კონოტაციას ატარებს. დისკრიმიანციული შევიწროების ფაქტების დადგენის მიღმა, EMC განათლების სამინისტროს სკოლაში თანასწორობის და ტოლერანტობის მხარდასაჭერი სპეციალური პოზიტიური ღონისძიებების გატარებას სთხოვს. ასევე, შიდა აუდიტის აღნიშნული დასკვნა გაასაჩივრა ზედა ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა, ამ დრომდე სამინისტროს გადაწყვეტილება არ მიუღია. EMC-თვის აგრეთვე უცნობია დისკრიმინაციული შევიწროების სხვა ეპიზოდებში სამინისტროს მიერ მიღებული გაწყვეტილების შინაარსი. აღნიშნულ საქმეზე განაცხადი ორგანიზაციამ სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის წინაშე წარადგინა. მიმდინარე პროცესების ფონზე სოფელში კვლავ დაძაბულობაა და კონსერვირებული კონფლიქტის გადასაჭრელად სახელმწიფო არაფერს აკეთებს.

EMC მოხის საჯარო სკოლის საქმეზე შიდა აუდიტის დასკვნას ასაჩივრებს

თეონა ბერიძის არჩევანი

ამასთან, პროექტში კონსტიტუციის მე-19 მუხლში რელიგიის თავისუფლების გამოხატვის შეზღუდვის ლეგიტიმური საჯარო მიზნები გაუმართლებლად ფართოვდება და მოიცავს იმგვარ საჯარო მიზნებს, რომელიც რელევანტური რეგიონალური და საერთაშორისო აქტებით არ არის გათვალისწინებული. ცხადია, ეს ჩანაწერი სახელმწიფოს მხრიდან რელიგიის თავისუფლებაში ჩარევის თვითნებურ რისკებს ზრდის.

მოხის სკოლაში შესაძლო დისკრიმინაციული შევიწროების განგრძობად ფაქტებზე EMC განათლების სამინისტროს მიმართავს

ასევე, შიდა აუდიტის აღნიშნული დასკვნა გაასაჩივრა ზედა ადმინისტრაციულ ორგანოში, თუმცა, ამ დრომდე სამინისტროს გადაწყვეტილება არ მიუღია. EMC-სთვის აგრეთვე უცნობია დისკრიმინაციული შევიწროების სხვა ეპიზოდებში სამინისტროს მიერ მიღებული გაწყვეტილების შინაარსი. აღნიშნულ საქმეზე განაცხადი ორგანიზაციამ სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის წინაშე წარადგინა.

რელიგიის თავისუფლების საკითხებზე კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებები

ხელისუფლებამ კონსტიტუციის პირველ თავში, მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი კიდევ უფრო გააძლიერა.

მიმდინარე კონსტიტუციური ცვლილებების პროექტით ცვლილებები შედის კონსტიტუციის მე-9 მუხლში და ნორმაში ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული დეკლარაციული ჩანაწერები სუსტდება. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას კონსტიტუციის პირველ თავში, რომელიც სახელმწიფოს მოწყობის ფუნდამენტურ ინსტიტუციურ, პოლიტიკურ და ფილოსოფიურ პრინციპებს განსაზღვრავს, გაეძლიერებინა სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის ურთიერთდამოუკიდებლობისა და ურთიერთგამიჯნულობის პრინციპი, მან მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი კიდევ უფრო გააძლიერა.

კონსტიტუციის მე-9 და მე-19 მუხლებში დაგეგმილი ცვლილებების კრიტიკა, EMC-ის კოორდინაციით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით ვენეციის კომისიაში გაიგზავნა. აღსანიშნავია, რომ მე-19 მუხლთან დაკავშირებით წარდგენილი შენიშვნების ნაწილი ვენეციის კომისიის დასკვნის ტექსტში აისახა.

კონსტიტუციური კანონის პროექტის სამართლებრივი ანალიზი რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ჩანაწერებთან მიმართებით

მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკა

დაფინანსების არსებული პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ნორმებთან და სამართლებრივი სახელმწიფოსა და სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპებთან.

სახელმწიფოს ბიუჯეტიდან მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების მოქმედი არასეკულარული და დისკრიმინაციული პრაქტიკა EMC-მა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. EMC-ის სარჩელი არადომინანტი რელიგიური რწმენის, ასევე ათეისტი, აგნოსტიკოსი და სეკულარისტი მართლმადიდებელი საქართველოს მოქალაქეების სახელით აქვს შეტანილი. ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო რესურსების არასეკულარული, წმინდა რელიგიური მიზნებისთვის გამოყენება არღვევს მოსარჩელე პირების რელიგიის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას და ამავდროულად დისკრიმინაციულია. ამასთან, EMC უთითებს, რომ დაფინანსების არსებული პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ნორმებთან და სამართლებრივი სახელმწიფოსა და სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპებთან.





კონსტიტუციური სარჩელის მიზანს წარმოადგენს არა საქართველოს საპატრიარქოსათვის საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით მატერიალური რესურსის გადაცემის შეწყვეტა, არამედ ასეთი გადაცემის კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევა და სეკულარული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ დაფინანსების დემოკრატიული და სეკულარული მოდელი ასევე არსებითია ეკლესიის პოლიტიზირების მინიმიზებისა და სოციალური ცნობიერების განვითარებისთვის.

EMC-ის საკონსტიტუციო სარჩელი საპატრიარქოს არასეკულარული და დისკრიმინაციული დაფინანსების პრაქტიკაზე

საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსების პოლიტიკა

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საბიუჯეტო რესურსების არასეკულარული, წმინდა რელიგიური მიზნებისთვის გამოყენება არღვევს მოსარჩელე პირების რელიგიის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას და ამავდროულად დისკრიმინაციულია.

მუსლიმი თემის პოლიტიკური და სოციალური ექსკლუზიის კვლევები

საანგარიშო პერიოდში, ღია საზოგადოების ფონდების მხარდაჭერით, EMC-მა დაიწყო ორი მნიშვნელოვანი კვლევის ჩატარება, რომელიც აჭარასა და სხვა რეგიონებში მცხოვრები ქართველი მუსლიმი თემის პოლიტიკური და სოციალური გარიყულობასა და პანკისის რეგიონში შესაძლო რელიგიური რადიკალიზმსა და მის გამომწვევ სისტემურ პოლიტიკურ და სოციალურ მიზეზებს შეისწავლის.

კვლევის შედეგების მიხედვით სახელმწიფოს შესაბამის უწყებებს რეკომენდაციების პაკეტი წარედგინება.

ბათუმში 2017 წლის 11 მარტს ახალგაზრდების სპონტანურმა ძალადობრივმა შეკრებამ, ბათუმში ყველაზე მძაფრად გამოხატული სოციალური უთანასწორობის გარდა, აჭარაში ისლამთან დაკავშირებული იდენტობის ტრამვული თვითაღქმის და პოლიტიკური რეპრეზენტაციის პრობლემა გამოავლინა. ამ მოცემულობაში აჭარაში დაგეგმილი კვლევა პოლიტიკურ აქტუალობას იძენს.

რა დავინახეთ ბათუმში

საინფორმაციო შეხვედრები მუსლიმი ქალებისთვის - ემანსიპაციის ძიებაში

საინფორმაციო შეხვედრა ბათუმში

საანგარიშო პერიოდში EMC-მა, USAID-სა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში, თბილისში, ბათუმსა და სოფელ ჭელაში ორდღიანი საინფორმაციო შეხვედრები გამართა მუსლიმ ქალებთან. შეხვედრის მიზანი მუსლიმი ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე დისკუსიის დასაწყებად ჰორიზონტალური და თავისუფალი სააზროვნო სივრცის შექმნა იყო, სადაც ქალებმა საკუთარ მდგომარეობასა და გამოწვევებზე თავად ისაუბრეს. შეხვედრის ფარგლებში მოხსენებები წაიკითხეს და იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე: ფემინიზმი, ქალთა უფლებები, ისლამური ფემინიზმი, ქალთა მოძრაობები, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, სეკულარიზმი და რელიგიის თავისუფლება.

შეხვედრის მიზანი მუსლიმი ქალების უფლებრივ მდგომარეობაზე დისკუსიის დასაწყებად ჰორიზონტალური და თავისუფალი სააზროვნო სივრცის შექმნა იყო.

საინფორმაციო შეხვედრა ჭელაში

შეხვედრაში მონაწილე ქალებმა ნახეს EMC-ის მიერ მომზადებული ანალიტიკური ვიდეო მასალა - ორიენტალიზმი და მუსლიმ ქალთა რეპრეზენტაცია. აგრეთვე, განიხილეს ლაილა აბუ-ლუღოდის წიგნი - „სჭირდებათ თუ არა მუსლიმ ქალებს ხსნა?!“ რომლის რამდენიმე თავი საგანგებოდ ამ შეხვედრებისთვის ითარგმნა და დაიბეჭდა.

საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები

ფოტო: „ნეტგაზეთი“; აქცია საზოგადოებრივ მაუწყებელთან

კანონპროექტი ახალი მენეჯმენტის დაწყებული პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობაა, რომელიც რადიკალურ წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სიკეთის იდეასთან.

საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე მოვლენები. ახლად არჩეულმა დირექტორმა საზოგადოებრივ მაუწყებელში რეფორმის პროცესი პრობლემების სათანადო შეფასების გარეშე, საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სიკეთის იდეის საწინააღმდეგოდ დაიწყო. ე.წ. რეფორმა მყისიერი ტექნიკური კოლაფსის საფრთხის გამო, ძირითადი გადაცემების დახურვასა და საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგის ზრდის პოლიტიკაზე გადასვლას ისახავდა მიზნად. თუმცა, იმის გამო, რომ მენეჯმენტის მიერ წარმოდგენილი პრობლემების შეფასებები საკმარისად დასაბუთებული არ აღმოჩნდა, მაუწყებლის ახალ მენეჯმენტს უკან დახევა მოუწია. ხელისუფლებასთან მჭიდრო პოლიტიკური აფილაციის მქონე ახალარჩეული დირექტორის პოლიტიკის მიმართ საზოგადოების მაღალი კრიტიკის პირობებში, მაუწყებლის მენეჯმენტმა მიმდინარე წლის ივლისის თვემდე სამაუწყებლო ბადის შენარჩუნებისა და კონკურსის წესით და მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით გადაცემების შერჩევის პროცესის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. თუმცა, 2017 წლის 13 ივნისს გადაცემების „წითელი ზონა“

და „ინტერVIEW“-ს დახურვის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. ხელმძღვანელობის მხრიდან ეს გადაწყვეტილება კი საფუძვლიან ეჭვს აჩენს ეთერიდან ხელისუფლების მწვავე კრიტიკის გაქრობის ინტერესთან დაკავშირებით. მალევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა პარლამენტში წარმოადგინა კანონპროექტი „მაუწყებლობის შესახებ” კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც არსებითად აუარესებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის სტანდარტს, ზრდის საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის უფლებამოსილებას, ასუსტებს სამეურვეო საბჭოს, აჩენს კორუფციული გარიგებების რისკს, ასუსტებს მაუწყებელში დასაქმებულ პირთა დაცვის მექანიზმებს. აღნიშნული კანონპროექტი ახალი მენეჯმენტის დაწყებული პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაციის მცდელობაა, რომელიც რადიკალურ წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სიკეთის იდეასთან.

EMC საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება

ორგანიზაციები საზოგადოებრივ მაუწყებელზე წითელი ზონასა და ინტერVIEW-ს დახურვის ფაქტებს ეხმიანებიან

არასამთავრობო ორგანიზაციები საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებების ფართო განხილვას ითხოვენ

აზერბაიჯანიდან დევნილი ჟურნალისტებისა და აქტივისტების უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში

აღნიშნულ ინციდენტებზე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ეფექტიანად რეაგირებას დემონსტრაციულად არ ახდენენ.

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა აზერბაიჯანიდან დევნილი, საქართველოში მყოფი ჟურნალისტებისა და აქტივისტების პრობლემები. EMC-მა მათი უფლებრივი მდგომარეობა შეისწავლა და პირველადი ანგარიში გამოაქვეყნა. შესწავლილი საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანელ ჟურნალისტებსა და აქტივისტებს არსებითად 2016 წლიდან უცხადებს უარს ლტოლვილის სტატუსისა და ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, რაც ამავე პერიოდში აზერბაიჯანში აქტივისტების მიმართ რეპრესიული პოლიტიკის გამკაცრებას სიმპტომატურად ემთხვევა. რელევანტური ადმინისტრაციული ორგანოები ლტოლვილის სტატუსის, ან ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარს ეროვნული უსაფრთხოების დაცვის ზოგადი ინტერესით ხსნიან, რომლის დასაბუთებულობისა და რელევანტურობის შემოწმება უსაფრთხოების სამსახურების შესაბამისი დასკვნის საიდუმლო ბუნების გამო ფაქტობრივად შეუძლებელია. ანგარიშში განხილულ საქმეებში ასევე ჩანს, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირების დევნის, შევიწროებისა და კონტროლის ფაქტები, რომელსაც მათი თქმით, აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირები ახორციელებენ. აღნიშნულ ინციდენტებზე საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ეფექტიანად რეაგირებას დემონსტრაციულად არ ახდენენ. ცალკეულ შემთხვევებში ჩნდება ეჭვები საქართველოსა და აზერბაიჯანის სამართალდამცავ სტრუქტურებს შორის არაფორმალური თანამშრომლობის შესახებ, რაც ყველაზე მაღალი კრიტიკულობით აფგან მუხთარლის იძულებითი გაუჩინარებისა და ჯამალ ალისთვის საქართველოში შემოსვლის აკრძალვის საქმეებში გამოჩნდა. აღნიშნული საქმეები მთლიანობაში აზერბაიჯანის არადემოკრატიული მთავრობის მიმართ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ ლოიალობაზე უთითებს.

მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმე

მუსტაფა ემრე ჩაბუქის მხარდასაჭერი აქცია

აზერბაიჯანელი ჟურნალისტებისა და აქტივისტების საქმების მიღმა, საქართველოს მთავრობამ საექსტრადიციო პატიმრობა გამოიყენა მუსტაფა ემრე ჩაბუქის მიმართ, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოში მოქმედ თურქულ სკოლებში საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. მისი დაკავება, თურქეთის მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე მოხდა, თბილისში თურქეთის მთავრობის ვიზიტის მეორე დღეს. მუსტაფა ჩაბუქის მიმართ წარდგენილი ბრალდების დაუსაბუთებლობა, საქმის პოლიტიკურობას ადასტურებს.

EMC-ის კოორდინაციით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, რელევანტურ სახელმწიფო უწყებებს ვრცელი სამართლებრივი დასაბუთებით მიმართეს თურქეთში მუსტაფა ჩაბუქის სავარაუდო არაადამიანური მოპყრობისა და პოლიტიკური დევნის რისკების გამო, ექსტრადიციის დაუშვებლობის თაობაზე.

მუსტაფა ჩაბუქის საქმის სამართლებრივი შეფასება

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების და აქტივისტების საქმეების მიმოხილვა

აზერბაიჯანელი ჟურნალისტების და აქტივისტების პრობლემები საქართველოში

ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ

დოკუმენტი მიმოიხილავს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფისა და მათთან მოპყრობის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში EMC-მა გამოაქვეყნა ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიების შესახებ. დოკუმენტი, ერთი მხრივ, შეიცავს ჰომო/ბი/ტრანსფობიასთან დაკავშირებული ძირითადი კონცეპტების განმარტებებსა და ანალიზს, წინასწარგანწყობათა სისხლისსამართლებრივ დანაშაულებად გარდაქმნის წინაპირობებისა და დამნაშავეთა ტიპოლოგიის მიმოხილვას, ასევე მსგავსი დანაშაულების ხელშემწყობი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების განხილვას. მეორე მხრივ, ტექსტში დეტალურად არის გაწერილი დანაშაულის ჩადენის დროს სიძულვილის მოტივის ობიექტური და სუბიექტური იდენტიფიკატორები. ამასთან დოკუმენტი მიმოიხილავს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მინიმალური სტანდარტების უზრუნველყოფისა და მათთან მოპყრობის საკითხებს. ასევე დეტალურად აღწერს დანაშაულთა პრევენციის, მიმართვიანობის გაზრდის, თემთან კომუნიკაციის/ნდობის ჩამოყალიბებისა და ინსტიტუციური მოწყობის შესახებ (სპეციალიზებული დანაყოფი/უწყება) სხვადასხვა სახელმწიფოს საუკეთესო გამოცდილებებს და შეიმუშავებს მნიშვნელოვან რეკომენდაციებს თითოეულ აქტივობასთან მიმართებით.

აღნიშნული დოკუმენტი შესაბამის სახელმწიფო უწყებებს გაეგზავნათ. მომავალში დოკუმენტის საფუძველზე EMC გეგმავს ტრენინგების ჩატარებას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლებისთვის.

ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი

დეკლარაცია ლგბტი პირთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევის შესახებ

მიმდინარე წელს პროექტის - ლგბტი სოლიდარობის ქსელი საქართველოსა და სომხეთში, ფარგლებში მონაწილე ორგანიზაციებმა დაასრულეს მუშაობა დეკლარაციის ტექსტზე, რომელიც სოგის (სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა) საფუძველზე დისკრმინაციის აღმოფხვრისა და ლგბტქი პირთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევას ისახავს მიზნად. ჰომო/ბი/ტრანსფობიის პრობლემატიზაცია პირველ რიგში გულისხმობს იმის აღიარებას, რომ მას კომპლექსური ბუნება აქვს და მისი დაძლევისათვის მნიშვნელოვანია საკითხის ერთიან კონტექსტში გააზრება. ცალკეულ სფეროებში საჭირო ინტერვენციები მუდმივად იკვეთება ერთმანეთთან და, შესაბამისად, პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახელმწიფო და სხვა აქტორების კოორდინირებული თანამშრომლობა და ერთიან ხედვაზე შეთანხმება.

სოლიდარობა თანასწორობისთვის
SOLIDARITY FOR EQUALITY
ՀԱՄԵՐԱՇԽՈՒԹՅՈՒՆ ՀԱՆՈՒՆ ՀԱՎԱՍԱՐՈՒԹՅԱՆ

დეკლარაცია ლგბტი პირთა უფლებრივი თანასწორობის მიღწევის შესახებ

აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც ამ დროისთვის ხელს 30-ზე მეტი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაცია აწერს, პროექტის გუნდი კონკრეტული რეკომენდაციების ადვოკატირებას ცდილობს შესაბამის სახელმწიფო უწყებების წინაშე.

საკონსტიტუციო ცვლილებები ქორწინებასთან დაკავშირებით

აღნიშნული ინიციატივა კონსტიტუციური სტანდარტებისა და ლგბტქი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების მცდელობაა.

ხელისუფლების მიერ დაგეგმილი კონსტიტუციური ცვლილებების პროექტში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური ინიციატივა ქორწინებასთან დაკავშირებული 36-ე მუხლის ცვლილებაა, რომელსაც ვიწრო ჰეტეროსექსუალური შინაარსი ენიჭება და ქორწინებას როგორც ქალსა და მამაკაცს შორის კავშირს განმარტავს. აღნიშნულ ინიციატივას მმართველი პოლიტიკური გუნდი წინასაარჩევნო პერიოდში ელექტორატისთვის მიცემული დაპირების შესრულებისა და პრორუსული ძალებისთვის ლგბტქი უფლებებით სპეკულირების შესაძლებლობის მოსპობის ინტერესით ხსნის. რეალურად აღნიშნული ინიციატივა კონსტიტუციური სტანდარტებისა და ლგბტქი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის არსებითი გაუარესების მცდელობაა. მაშინ, როდესაც დემოკრატიული სახელმწიფოები წინ მიიწევენ ლგბტქი წყვილთა პარტნიორული ურთიერთობის სამართლებრივი აღიარებისა და სოციალური მიმღებლობის განვითარებისკენ, საქართველოს მხრიდან აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილების მიღება, ემსახურება დამატებითი შეზღუდვების, აკრძალვებისა და დისკრიმინაციის გამყარებას.

ამასთან ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზების მცდელობა არსებითად აფერხებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისა და ადამიანის უფლებების დაცვისა და მარგინალიზებული ჯგუფების ემანსიპაციის პროცესს. ქორწინებასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, EMC-ის კოორდინაციით, „კოალიციამ თანასწორობისთვის“ ვენეციის კომისიას დასაბუთებული განცხადებით მიმართა. ვენეციის კომისიას ქორწინების თანასწორობის საკითხზე ევროპული კონსენსუსის არ არსებობის გათვალისწინებით ცალსახა პოზიცია არ დაუფიქსირებია. მისი შეფასებით, არსებითია, რომ მსგავსმა შესწორებამ არ უნდა გამორიცხოს სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა. ამ პირობებში სამოქალაქო პარტნიორობის აღიარების საკითხი ლგბტქი აქტივისტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის შემდგომი ადვოკატირების, მათ შორის, სასამართლოს გზით ადვოკატირების თემა გახდება.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ ვენეციის კომისიას მიმართავს

ქორწინებასთან დაკავშირებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, EMC-ის კოორდინაციით, „კოალიციამ თანასწორობისთვის“ ვენეციის კომისიას დასაბუთებული განცხადებით მიმართა.

2017 წლის 17 მაისი

ლგბტქი თემის წევრებს, აქტივისტებსა და მათ მხარდამჭერებს სახელმწიფომ მიმდინარე წელსაც შეუზღუდა პოლიტიკურად მნიშვნელოვან სივრცეში – რუსთაველის გამზირზე შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სრულყოფილი სარგებლობის შესაძლებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ლგბტქი აქტივისტებმა თბილისის მერიას პირველებმა მიმართეს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ შეკრების გამართვის მოთხოვნით, სახელმწიფომ უსაფრთხოების მაღალი რისკების გამო, მითითებულ ტერიტორიაზე შეკრების გამართვა შეუძლებლად მიიჩნია. ამ მოცემულობაში ლგბტქი აქტივისტებს აიდაჰო შეკრების ჩატარება სხვა ადგილას – კანცელარიის შენობის წინ, სახელმწიფოს მხრიდან შეკრების შინაარსისა და ფორმის მკაცრი კონტროლის პირობებში მოუწიათ.

თანასწორობის უზრუნველყოფა კვლავ არ წარმოადგენს სახელმწიფოს პრიორიტეტს და მისი ინტერესი არსებითად ლგბტქი პირთა უფლებების მოჩვენებითი დაცვის ხაზგასმაა.

ფოტო: „ლიბერალი“

შეკრება მკაცრი საპოლიციო კონტროლის ქვეშ, ხანმოკლე დროით (1 საათი) და დახურული ღონისძიების ფორმით გაიმართა. მიმდინარე წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ლგბტქი აქტივისტებისა და ორგანიზაციების კომუნიკაციის დროს თვალსაჩინო გახდა, რომ სახელმწიფოში კვლავ არ არსებობს პოლიტიკური ნება, უზრუნველყოს ამ ჯგუფისათვის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების სრულყოფილი დაცვა. თანასწორობის უზრუნველყოფა კვლავ არ წარმოადგენს სახელმწიფოს პრიორიტეტს და მისი ინტერესი არსებითად ლგბტქი პირთა უფლებების მოჩვენებითი დაცვის ხაზგასმაა.

კოალიცია თანასწორობისთვის სახელმწიფოს 17 მაისს შეკრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვისკენ მოუწოდებს

სტრატეგიული სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში EMC აგრძელებდა არადომინანტი რელიგიური ჯგუფებისთვის, ასევე ლბტქი ადამიანებისა და სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისთვის სტრატეგიული სამართალწარმოებისა და სამართლებრივი დახმარების პროგრამას.

მათ შორის, საანგარიშო პერიოდში EMC-მა მოამზადა:

- კონსტიტუციური სარჩელი საპატრიარქოს არასეკულარული დაფინანსების პრაქტიკასთან დაკავშირებით;
- სამი საქმე - საერთო სასამართლოებში რელიგიური ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციისა და საკულტო ნაგებობის მშენებლობის გამო დაჯარიმების საქმეზე;
- ორი საქმე - სახალხო დამცველის, როგორც თანასწორობის მექანიზმის წინაშე;
- ხუთი საქმე საგამოძიებო ორგანოების წინაშე რელიგიური და ჰომოფობიური მოტივით ჩადენილი დანაშაულების შესახებ;
- სამი საქმე ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა, როგორც თანასწორობის მექანიზმა დააკმაყოფილა EMC-ის ორი განაცხადი, რომელიც კაფე კივის ადმინისტრაციის მიმართ კერძო მესაკუთრის მხრიდან განსხვავებული შეხედულების გამო დისკრიმინაციასა და საზღვრის კვეთის დროს შსს-ს მხრიდან მუსლიმების დაყოვნების, შემოწმების, რელიგიური ლიტერატურის ჩამორთმევის დისკრიმინაციულ პრაქტიკას შეეხებოდა. ამასთან, ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ ჰომოფობიური დანაშაულის საქმეზე საპროცესო დოკუმენტებში პროკურატურამ და სასამართლომ სიძულვილის მოტივის ექსპლიციტური მითითება მოახდინა და სისხლის სამართლის კოდექსის 53 3^1 მუხლი გამოიყენა, რაც მნიშვნელოვანი პრეცედენტია.

სოციალური სამართლიანობა

მიმდინარე პერიოდი სოციალური მნიშვნელობის საკითხების გააქტიურების კუთხით გამოირჩეოდა. სხვადასხვა სოციალური სტატუსის თუ ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ჯგუფები იბრძოდნენ არსებული რეალობის შენარჩუნებისთვის ან სამართლიანობისა და თანასწორობისთვის:

სერვისის სფერო

2016 წლის დასაწყისისთვის იმძლავრა სერვისის სფეროში დასაქმებული მშრომელების პროტესტმა შრომითი ექსპლუატაციის და მძიმე შრომითი პირობების წინააღმდეგ. შრომის ბაზრის სტრუქტურული ცვლილება, ტრადიციული შრომის სფეროების შემცირება და ახალი შრომის ფორმების შექმნა, ხოლო ამის წინააღმდეგ დასაქმებულთა რეზისტენცია და წინააღმდეგობა არა მარტო ქართული რეალობისთვის გახდა დამახასიათებელი, არამედ გლობალური მოვლენაა. ამასთან ერთად ფინანსილიზაციის ინტენსიური ტენდენციები, დეინდუსტრიალიზაცია და სერვისის სფეროს გაფართოება თანამედროვე სამყაროს მნიშვნელოვანი მახასიათებელად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ საკითხებზე არაერთი სტატია, მიმოხილვა თუ ბლოგ-პოსტი შეიქმნა კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმის ფარგლებში, რომელიც მშრომელთა პროტესტების და წუხილების, სოციალური ცვლილებების აუცილებლობის და ასევე მშრომელთა საერთაშორისო დღის მიმართ იყო მიძღვნილი.

გარემოვაჭრეები

სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით წინააღმდეგობას და ჩაგვრას წააწყდნენ არაფორმალურ და ვაჭრობის სფეროში ჩართული ადამიანები. სავაჭრო ცენტრ "ბავშვთა სამყაროს" ხანძრის შედეგად განადგურების შემდეგ, ხელისუფლებამ უარი განაცხადა სოციალური მხარდაჭერა განეხორციელებინა იქ დასაქმებულ მოვაჭრეებისთვის და პასუხისმგებლობა ცალკეულ ინდივიდებს დააკისრა. ამ პროცესების პარალელურად, თბილისის მერიამ "ქალაქის ქუჩების წმენდის" არგუმენტით, გარემოვაჭრეების საჯარო სივრცეებიდან გაყვანა დაიწყო.
EMC-მა ამ თემების ირგვლივ დისკუსიის დასაწყებად გამოაქვეყნა სტატიები:

რატომ გაჰყავთ გარემოვაჭრეები საჯარო სივრციდან? სიმპტომების და რისკების შესახებ



შრომა, თავისუფლება და პროტესტის დრო

რა შეიძლება მოხდეს იმ დემონსტრაციაზე, სადაც ყველა მოვა?

ემანსიპაცია შრომაში თუ შრომისგან?

ყოველდღიური ცხოვრების ფინანსიალიზაცია საქართველოში

შრომა და მშრომელთა მდგომარეობა საქართველოში – 1 მაისი 2017 წელი

დასაქმებულთა პროტესტები და სახელმწიფოს ნაბიჯები

როგორ ჩავაყენოთ ეკონომიკა სოციალური უფლებების სამსახურში?

დეპოლიტიზების შესახებ

გარემოვაჭრეები და კაპიტალიზმი

ასევე, გამართა საჯარო მოხსენება არაფორმალური სფეროს ფორმალიზების წარმატებულ მაგალითზე.

კვლევა - სოციალური პროტესტი: გამოცდილება და პერსპექტივები

ორგანიზაციის მკვლევართა ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აქტიურად მუშაობდა კვლევით პროექტზე "სოციალური პროტესტი: გამოცდილება და პერსპექტივები", რომელიც 2010-2016 წლებში შრომის უფლებების საკითხის, ასევე გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით წარმოქმნილ პროტესტებს შეისწავლის. კვლევის მიზანია შეისწავლოს ის სტრუქტურული გარემოებები თუ სპეციფიკური ფაქტორები რომლებიც განაპირობებენ პროტესტის წარმოქმნას და გამოავლინოს ის სამომავლო პერსპექტივები თუ გამოწვევები, რაც თავს იჩენდა ამა თუ იმ პროტესტის შესწავლის პროცესში. კვლევის დასასრულს მომზადდება კვლევითი პუბლიკაცია, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში გავრცელდება.

კრიტიკული ფემინისტური აზრი

ქალთა უფლებებისთვის გლობალური ბრძოლის პარალელურად, აქტიურად მიმდინარეობს კრიტიკული ფემინისტური აზრის განვითარება და დებატები ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორებიცაა: ქალთა უხილავი აუნაზღაურებელი შრომის აღიარება, ქალთა ემანსიპაციის შეუძლებლობა ნეოლიბერალურ დღის წესრიგში, რასიზმი, ჰეტერო-პატრიარქატი, მილიტარიზმი და სხვა. ამ საკითხებზე, EMC-მა გამოაქვეყნა ფემინისტური თარგმანები და მათი მიმოხილვა, სადაც ავტორები განიხილავენ იმ ძალაუფლებრივ სტრუქტურებს, რომლებიც განსაზღვრავენ და მართავენ ქალთა ცხოვრებასა და მდგომარეობას.

ასევე გაიმართა დახურული დისკუსია თემაზე: „ნარატივები, იდენტობა და პოლიტიკა ევრაზიულ კონტექსტში“. შეხვედრის ფარგლებში იმსჯელეს პოსტსაბჭოთა სივრცეში რეაქციული ანტი-ემანსიპატორული მოძრაობების დინამიკაზე და ახალი ტიპის კონტრ-პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც დაუპირისპირდება ჩაგვრის ხილულ ფორმებს და წინააღმდეგობას გაუწევს არსებულ სტრუქტურულ მატრიცას.



კინოფესტივალი: დააფასე ადამიანის შრომა!

CineDOC-Tbilis-ის ორგანიზებით, გაიმართა შრომის საკითხებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი “შრომითი კამპანია: დააფასე ადამიანის შრომა!”. EMC შრომის უფლებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ჩაერთო და ფესტივალის ფარგლებში გამართა საჯარო განხილვები და დისკუსიები შემდეგ ფილმებზე:

- რაულ ჯაინის დოკუმენტური ფილმის “მექანიზმები”, რომელიც ძლიერი ვიზუალური ენით და დასამახსოვრებელი კადრებით გამოირჩეოდა ეხებოდა ინდოეთის ერთ-ერთ ტექსტილის ფაბრიკაში მუშების უთანასწორობის და ჩაგვრის ისტორიას. ფილმის კონცეფტუალური ენის და მის მიერ წამოჭრილ საკითხებზე სამსჯელოდ გაიმართა დისკუსია “ადამიანი, როგორც მანქანა: შრომა და წინააღმდეგობის შეუძლებლობა”.
- ფრანსუა რუფინის ფილმს “მადლობა ბატონო”, რომელიც საფრანგეთის ერთ-ერთ ქალქაში სავაჭრო კომპანიის მიერ საწარმოს დახურვაზე და ასობით ადამიანის განთავისუფლებაზე მოგვითხრობს, სადაც დაზარალებულების დასახმარებლად თავად ფილმის რეჟისორი და მემარცხენე აქტივისტი იწყებენ ბრძოლას, გაიმართა დისკუსია აღნიშნული პროცესების მონაწილე ორ ფრანგ აქტივისტთან და საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელთან ერთად.
- ფილმი “მოსამსახურე ყველას” მაჰერ აბი სამრას რეჟისორობით, რომელიც ლიბანში დამკვიდრებულ შრომით ურთიერთობის პრაქტიკაზე მოგვითხრობს, მოჰყვა დისკუსია თემაზე - „მიგრაცია, შრომის საერთაშორისო და გენდერული გადანაწილება”.

პოლიტიკური 8 მარტი

დეკოლონიური პერსპექტივები

რა არის ორიენტალიზმი და როგორ ხდება ორიენტის წარმოება? როგორია მუსლიმ ქალთა რეპრეზენტაცია და რა კონტექსტი ქმნის მუსლიმი ქალების სახე ხატებს? რა შედეგები მოაქვს მუსლიმი ქალების უფლებების დაცვის სახელით წარმოებულ პოლიტიკებს? სჭირდებათ თუ არა მუსლიმ ქალებს ხსნა? სწორედ ეს საკითხებია განხილული EMC-ის მიერ მომზადებულ ვიდეოში, რომელიც მიმოიხილავს მუსლიმი ქალების დომინანტურ რეპრეზენტაციას და მათი გათავისუფლების მისიის უკან მდგომ პოლიტიკას; საბურველის ისტორიულ და პოლიტიკურ განზომილებას.

ვიდეო ორიენტალიზმი და მუსლიმ ქალთა რეპრეზენტაცია არის მცდელობა პასუხი გასცეს კითხვას, თუ როგორ შეიძლება ვიფიქროთ იმ გზებზე, რომლებიც სამართლიანი და თანასწორი სამყაროს შექმნას შეუწყობს ხელს და როგორია ჩვენი როლი ამ პროცესში. კოლონიალისტურ სენტიმენტებს და ტენდენციებს ეხმიანება ასევე თარგმანი ევროპელებზე უფრო ევროპელები.

ვიდეო ორიენტალიზმი და მუსლიმ ქალთა რეპრეზენტაცია არის მცდელობა პასუხი გასცეს კითხვას, თუ როგორ შეიძლება ვიფიქროთ იმ გზებზე, რომლებიც სამართლიანი და თანასწორი სამყაროს შექმნას შეუწყობს ხელს და როგორია ჩვენი როლი ამ პროცესში.

დონორები და პარტნიორი ორგანიზაციები

კოალიცია:

სოლიდარობის ქსელი ლგბტ უფლებებისთვის საქართველოსა და სომხეთში

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა

“კოალიცია თანასწორობისთვის”

კამპანია “ეს შენ გეხება”

კოალიცია/პლატფორმა “არა ფობიას”

დონორები, პარტნიორი ორგანიზაციები და მიმდინარე პროექტები:

	ევროკავშირი	58,506.00EUR	სოლიდარობის ქსელი LGBTI ადამიანებისათვის სომხეთსა და საქართველოში
HEINRICH BÖLL STIFTUNG SOUTH CAUCASUS	ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო	21,600.00EUR	სოციალური პროტესტი: გამოცდილება და პერსპექტივები
rfsu	სქესობრივი განათლების შვედური ასოციაცია (RFSU)	166,776.00GEL	სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)	აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამა კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)	92,819.00USD	მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაძლიერება დისკრიმინირებული რელიგიური თემებისთვის
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION	ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	17,290.00USD	უსაფრთხოების სექტორის თანამედროვე მოდელის შექმნის ადვოკატირება. *(პროექტი ხორციელდება საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველოსთან ერთად)*
OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION	ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	10,000.00USD	საგამოძიებო სისტემის რეფორმა სამართლიანი და ეფექტური სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესაქმნელად
EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)	EWMI-PROLoG	31,450.00USD	
OPEN SOCIETY FOUNDATIONS	ღია საზოგადოების ფონდები	97,978.00USD	საქართველოში მცხოვრები მუსლიმი თემების ინტეგრაციის, მარგინალიზაციის და რადიკალიზაციის პრობლემებზე რეაგირება
		160,000.00USD	ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა საპოლიციო და სისხლის სამართლის სისტემაში

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

www.emc.org.ge
humanrightsemc@gmail.com
www.facebook.com/EMCRIGHTS

მისამართი: ი.აბაშიძის 12ა
თბილისი, საქართველო
ტელ: 032 2 23 37 06